



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:ო65.6521238001

თარიღი:26/08/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 26.08.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალისვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, ტარიელ ბარამიძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალისვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რობიზონ ფუტკარაძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ვარლამ გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 11⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. გელა ჩიკვაიძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქციის წევრებმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს ფრაქციის რიგები, რის შედეგად ფრაქცია გაუქმებული იქნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

გადაწყვიტეს: მიღებული იქნას განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

განკარგულება გ-65.65212382

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც ფრაქციის წევრებმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს ფრაქციის რიგები, რის შედეგად ფრაქცია გაუქმებული იქნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

გადაწყვეტეს: მიღებული განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -ვანის განვითარებისათვის“ გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

განკარგულება N გ-65.65212383

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -მრეწველები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ფრაქციის წევრებმაც პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს ფრაქციის რიგები, რის შედეგად ფრაქცია გაუქმებული იქნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

გადაწყვეტეს: მიღებული იქნას განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -მრეწველები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

განკარგულება გ-65.65212381

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

